იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრის სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2016 წლის 13 ივლისს, ქუთაისში გაიმართა იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრის სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას ესწრებოდნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი მოეწერა 2016 წლის 24 თებერვალს, იაპონიის საელჩოსა და საქართველოს დახმარების კომიტეტს შორის. პროექტის ფარგლებში თანამედროვე სამედიცინო ლაბორატორიული აპარატურით აღიჭურვა იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს ამ სამედიცინო ცენტრს დასავლეთ საქართველოს, და მათ შორის აფხაზეთის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის C ჰეპატიტის უფასო დიაგნოსტიკით და მკურნალობით უზრუნველყოფაში. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტი 89 992 აშშ დოლარს შეადგენს.